



საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური

GEORGIA
Administration
of Kutaisi Municipality



4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93
3 Rustaveli Ave. Kutaisi. Georgia. 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93
302-01-2-201701051446

N 01/302
05/01/2017



Factcheck-ის ჟურნალისტს
ქალბატონ ნესტან ჩაგელიშვილს

ქალბატონო ნესტან,
თქვენი მომართვის /№31054/01, 29.12.2016წ/ პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2016 წელს გასხვისებული იქნა 65 ერთეული უძრავი ქონება. აქედან: 9 ერთეული შენობა-ნაგებობა (3971,72 კვ.მ საერთო ფართობი, 13466,49 კვ.მ მასზედ დამაგრებული მიწის ფართობი, აქედან 8015 კვ.მ. თანასაკუთრების მიწა), 51 ერთეული მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით - 22390 კვ.მ და 5 ერთეული შენობა-ნაგებობა დაშლა-გატანის პირობით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2016 წელს გასხვისებული ობიექტებიდან შემოსავალმა შეადგინა სულ - 2217229,47 ლარი. მათ შორის: შემოსავალი სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე და სახელმწიფო სარგებლობაშია - 103574,1 ლარი, შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 970080 ლარი, შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო მიწების გაყიდვიდან - 765544,02 ლარი, შემოსავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე - 281627,24 ლარი და შემოსავალი მიწაზე უფლების აღიარებიდან -96404,11 ლარი.

პატივისცემით,
ზვიად ჯავახია

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური